

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „მიკროსაფინანსო
ორგანიზაცია ბანი კრედიტი“

2018 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტის” მფლობელებს:

უარყოფითი დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, “უარყოფითი დასკვნის საფუძვლების” აბზაცში განხილული საკითხის მნიშვნელოვნების გამო, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ვერ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

უარყოფითი დასკვნის საფუძველი

როგორც აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების 2.5 შენიშვნაში, კომპანიას არ აქვს დანერგილი ახალი სტანდარტი ფასს 9, გამომდინარე იქიდან რომ, კომპანიის შიდა სააღრიცხვო სისტემა არ არის ჯერ შემუშავებული იმგვარად, რომ უზრუნველყოს სრული ინფორმაციის მოწოდება ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მენეჯმენტი გვამცხადებს რომ სრულად დანერგოს ფასს 9 2019 წლის 31 დეკემბრისთვის. ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები” ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. კომპანიის ბიზნესის ბუნების გათვალისწინებით და კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისათვის ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, იმ ფაქტს, რომ აღნიშნული სტანდარტი არ არის დანერგილი, ფინანსურ ანგარიშგებაზე აქვს არსებითი და ყოვლისმომცველი ზეგავლენა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს უარყოფითი აუდიტორული დასკვნისთვის.

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობით ანგარიშგებაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის აქტივობების შესახებ, რისკის ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა საკითხებს რომლებიც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ მენეჯმენტის ანგარიშგება, როდესაც იგი იქნება ხელმისაწვდომი, და განვიხილოთ იქ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის შედეგად მიღებულ ცოდნას, ან სხვაგვარად, იქნება თუ არა არსებითად არასწორი და შესაბამისად წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და მხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანი ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას კომპანიის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ კომპანიის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

გაძღვლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი
2019 წლის 14 ივნისი

ქეთევან ლამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	202,481	90,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	1,622,165	1,871,847
ძირითადი საშუალებები	4	521,943	472,998
არამატერიალური აქტივები		18,537	21,378
გადავადებული მოგების გადასახადი	10	37,034	3,888
სხვა აქტივები	5	290,077	153,130
სულ აქტივები		2,692,237	2,614,039
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	3,408,306	3,089,119
გადასახდელი პროცენტი		41,906	69,425
სხვა ვალდებულებები	8	38,962	26,272
სულ ვალდებულებები		3,489,174	3,184,816
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,480,669	2,178,508
დამატებითი შენატანი კაპიტალში		35,423	35,423
გაუნაწილებელი მოგება		(3,313,029)	(2,784,708)
სულ კაპიტალი		(796,937)	(570,777)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,692,237	2,614,039

ფინანსური ანგარიშება დადასტურებულია 2019 წლის 12 მაისს:

ვასტანგ ჩიქოვანი

რიმა ლოლიძე

აღმასრულებელი დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

ლარი	შენივნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	202,481	90,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	1,622,165	1,871,847
ძირითადი საშუალებები	4	521,943	472,998
არამატერიალური აქტივები		18,537	21,378
გადავადებული მოგების გადასახადი	10	37,034	3,888
სხვა აქტივები	5	290,077	153,130
სულ აქტივები		2,692,237	2,614,039
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	3,408,306	3,089,119
გადასახდელი პროცენტი		41,906	69,425
სხვა ვალდებულებები	8	38,962	26,272
სულ ვალდებულებები		3,489,174	3,184,816
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,480,669	2,178,508
დამატებითი შენატანი კაპიტალში		35,423	35,423
გაუნაწილებელი მოგება		(3,313,029)	(2,784,708)
სულ კაპიტალი		(796,937)	(570,777)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,692,237	2,614,039

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 12 მაისს:

ვახტანგ ჩიქოვანი
აღმასრულებელი დირექტორი

რიმა დოლიძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც II-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
	შენიშვნა		
საპროცენტო და სხვა მსგავსი შემოსავალი	11	398,168	255,139
საპროცენტო და მსგავსი ხარჯი		(349,955)	(356,019)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ (ხარჯი)		48,213	(100,880)
სესხების ზარალის ხარჯი	9	(352,895)	(93,616)
წმინდა საპროცენტო ხარჯი ზარალების შემდეგ		(304,682)	(194,496)
მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		5,644	(64,176)
ზარალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან		(8,891)	(3,370)
პერსონალის ხარჯი		(169,558)	(146,620)
ცვეთის ხარჯი		(5,255)	(7,290)
ამორტიზაციის ხარჯი		(2,841)	(3,147)
სხვა ხარჯები	12	(75,884)	(99,502)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(561,467)	(518,600)
მოგების გადასახადის(ხარჯი)/აღდგენა	10	33,146	(4,580)
წლის ზარალი		(528,321)	(523,180)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(528,321)	(523,180)

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი ზარალი	სულ
2017 წლის 1 ანგარი	332,600	35,423	(2,261,528)	(1,893,504)
ზრდა სააქციო კაპიტალში	1,845,908	-	-	1,845,908
სულ გარიგებები მფლობელებთან	1,845,908	-	-	1,845,908
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	(523,180)	(523,180)
მიღიანი სრული შემოსავალი	-	-	(523,180)	(523,180)
2017 წლის 31 დეკემბერი	2,178,508	35,423	(2,784,708)	(570,777)
ზრდა სააქციო კაპიტალში	302,161	-	-	302,161
სულ გარიგებები მფლობელებთან	302,161	-	-	302,161
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	(528,321)	(528,321)
მიღიანი სრული შემოსავალი	-	-	(528,321)	(528,321)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,480,669	35,423	(3,313,029)	(796,937)

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი

2018 წლის 31
დეკემბრის
დასრულებული
წლისთვის2017 წლის 31
დეკემბრის
დასრულებული
წლისთვის

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

მსესხებლებისაგან მიღებული პროცენტები

სესხის ძირი თანხის დასაფარად მიღებული სახსრები

გაცემული სესხები

გადახდილი ხელფასები

გადახდილი საოპერაციო გადასახადი

კომუნალური გადასახადები

იჯარაში გადახდილი სახსრები

საბანკო სერვისები

სხვა გადახდილი სახსრები

წმინდა ფულადი სახსრები დან/(გამოყენებული) საოპერაციო
საქმიანობიდან

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შესასყიდად გადახდილი სახსრები

არამატერიალური აქტივების შესასყიდად გადახდილი სახსრები

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

კაპიტალის შევსება

მიღებული სესხები

გადახდილი პროცენტები

დაბრუნებული სესხები

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(კლება)

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

საკურსო სხვაობები

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტი” (შემდგომში “კომპანია”) შესახებ. ღირებულებების დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად 2010 წელს საქართველოში და იმ დაარსების დღიდან დღემდე გასცემს სესხებს, მისი ბიზნეს მისამართია თბილისი, გახაკიძის ქუჩა №6. კომპანიის აქციონერები არიან:

აქციონერი	აქცია	
	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აბესალომ შავგულიძე, საქართველოს მოქალაქე	20.00%	20.00%
მაკა გოცირიძე, საქართველოს მოქალაქე	60.00%	00.00%
ელვარდ პოპე, ბრიტანეთის მოქალაქე	10.00%	70.00%
ვახტანგ ჩიქოვანი, საქართველოს მოქალაქე	10.00%	10.00%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის თანამშრომლების საშუალო რიცხვი 2018 წელს იყო 6 (2017: 6 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე იმ მოლოდინით რომ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები წარდგენილია სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. დეტალები გაანგარიშების თითოეული კატეგორიის აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის არის ნაჩვენები შენიშვნებში.

2.3 ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ლარი”), როგორც ვალუტა რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის თანახმად მოითხოვს რომ მენეჯმენტმა გამოიყენოს კრიტიკული შეფასება და დაშვებები რომლებიც მოქმედებს რეპორტის თანხებზე აქტივების და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის და რეპორტის თანხებზე შემოსავლების და ხარჯების პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები მოიცავს მაღალი ხარისხის შეფასებას და კომპლექსურობას, ან ნაწილები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება გაშლილია ქვემოთ. ახალი სტანდარტები და ცვლილებები პირველად გამოიყენება 2018 წელს.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან

შემდეგი შესაბამისი ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ არსებულ სტანდარტებზე რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ, რომელიც ეფექტურია საანგარიშგებო წლისთვის 2018 წლის 1 იანვარს და მას შემდეგ:

სტანდარტი	სათაური	ძალაში შესვლის თარიღი
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.6)	1 იანვარი, 2018
ფასს 15	შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (შენიშვნა 3.11)	1 იანვარი, 2018
ბასს 28	ინვესტიციები ასოციაციებში და ერთობლივ საწარმოებში	1 იანვარი, 2018

.ფასს 9-ის გამოყენება შეესაბამება მხოლოდ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს, თუმცა კომპანიას არ აქვს დანერგილი ახალი ფასს 9-ის სტანდარტი, იმიტომ რომ კომპანიის შიდა სააღრიცხვო სისტემა არ არის ჯერ შემუშავებული იმგვარად, რომ უზრუნველყოს სრული ინფორმაციის მოწოდება ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს რომ სრულად დანერგოს ფასს 9 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც არ არის ეფექტური და არ არის დანერგილი კომპანიის მიერ

ამ ფინანსური წლისათვის ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მომდევნო შესაბამისი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებთან დაავშირებით რომლებიც გამოქვეყნებულია მაგრამ არ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუწერავს. ინფორმაცია შესაბამის ახალ სტანდარტებზე, ცვლილებებზე და ინტერპრეტაციებზე რომლებიც არ არის ეფექტური ამ ფინანსური ანგარიშგებისთვის მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ახალი სტანდარტების და მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ
სტანდარტებთან დაკავშირებით:

ეფექტურია
წლიური
პერიოდის
დასაწყისიდან ან
მას შემდგომ

ფასს 16, იჯარა. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების
საერთაშორისო საბჭომ გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის
აღრიცხვასთან დაკავშირებით.

1 იანვარი, 2019

(ა) ახალი სტანდარტი არ მნიშვნელოვნად არ ცვლის აღრიცხვას იჯარის
აღრიცხვას მეიჯარისათვის. თუმცა, არ მოითხოვს მოიჯარისგან რომ
აღიაროს მეტი იჯარა ბალანსში როგორც იჯარის ვალდებულება,
შესაბამისი უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

(ბ) მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ერთი მოდელი ყველა იჯარის
აღრიცხვისას მაგრამ აქვს არჩევანი არ აღიაროს მოკლევადიანი ან
დაბალღირებულებიანი იჯარა.

(გ) ზოგადად, მოგება ზარალის აღიარების მოდელი აღიარებული
იჯარისათვის იქნება მსგავსი დღევანდელი იჯარის აღრიცხვის,
პროცენტის და ცვეთის ხარჯის ცალკე აღიარებით მოგება-ზარალში.

ადრეული განაცხადი ნებადართულია შემოსავლის ახალი სტანდარტის,
ფასს 15-ის, რომელიც გამოიყენება იმავე დღეს. მოიჯარემ უნდა
დანერგოს ფასს 16-ის გამოყენება ან სრულად რეტროსპექტულად ან
მოდიფიცირებული მიდგომით. მენეჯმენტს აქვს შეფასებული გადახდილი
სტანდარტის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესება ფასს 2015-2017 ციკლის ცვლილება ფასს 3,
ფასს 11, ბასს 12 ბასს 23

1 იანვარი, 2019

IFRIC 23 გაურკვევლობა მოგების გადასახადთან დააშორებით,
ინტერპრეტაცია ითვალისწინებს დასაბეგრი მოგების (საგადასახადო
ზარალის), დასაბეგრი ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის,
გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის და საგადასახადო განაკვეთის,
როდესაც არის გაურკვევლობა მოგების გადასახადთან დაკავშირებით
ფასს 12-ის მიხედვით. ის კონკრეტულად მიიჩნევა:

1 იანვარი, 2019

საგადასახადო მიდგომა უნდა ჩაითვალოს კოლექტიურად, საგადასახადო
ორგანოების დაშვებებს გამოცდებზე, საგადასახადო მოგების განსაზღვრა
(საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი
საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის და
საგადასახადო განაკვეთის და ცვლილებების ფაქტიურ ეფექტს და
გარემოებებს.

ცვლილებები ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში, რომლებიც
უკავშირდება წინასწარ გადახდაზე უარყოფით კომპენსაციას. ეს ცვლის
ფასს 9-ის არსებულ მოთხოვნებს შეწყვეტის უფლების შესახებ, რათა
შეაფასოს ამორტიზირებული ღირებულებით განსაზღვრის უფლება (ან,
დამოკიდებულია ბიზნეს მოიდელზე, სამართლიანი ღირებულება სხვა
სრული შემოსავლის მეშვეობით) იმ შემთხვევაშიც როცა გადახდები
უარყოფითი კომპენსაციით ხასიათდება.

1 იანვარი, 2019

ახალი სტანდარტების და მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ სტანდარტებთან დაკავშირებით:

ეფექტურია
წლიური
პერიოდის
დასაწყისიდან ან
მას შემდგომ

ცვლილებები ბასს 19 თანამშრომლების სარგებელი: ცვლილებები განმარტავს: ცვლილებაში, განსაზღვრული სარგებლის გეგმის განსაზღვრა ან შემცირება, კომპანია ამჟამად იყენებს განსაზღვრულ აქტუალურ დაშვებებს რომ განსაზღვროს მიმდინარე სერვისის ხარჯი და წმინდა პროცენტი პერიოდისათვის და ეფექტი აქტივების ზღვარი უგულებელყოფილია მოგება ზარალის გაანგარიშებისას გეგმის ნებისმიერ ნაწილში მოქმედებს ცალკეულად სხვა სრულ შემოსავალზე.

1 იანვარი, 2019

ცვლილებები ფასს 28 ინვესტიციები ასოციაციებსა და ერთობლივ საწარმოებში დაკავშირებული გრძელვადიან ინტერესთან ასოციაციებსა და ერთობლივ საწარმოებში. ეს ცვლილება განმარტავს რომ საწარმო უნდა იყენებდეს ფასს 9-ს ფინანსურ ინსტრუმენტებს გრძელვადიან ინტერესს ასოციაციებსა და ერთობლივ საწარმოებში რომელიც არის წმინდა ინვესტიციის ფორმის ნაწილი ასოციაციებსა და ერთობლივ საწარმოებში მაგრამ სადაც არ გამოიყენება კაპიტალის მეთოდი.

1 იანვარი, 2019

ცვლილებები დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს კონცეპტუალურ ჩარჩოსთან სტანდარტებთან და ცვლილებებთან ფასს 2-ის, ფასს 3-ის, ფასს 6-ის, ფასს 14-ის, ფასს 1-ის, ფასს 8-ის, ბასს 34-ის, ბასს 37-ის, ბასს 38-ის, IFRIC 12, IFRIC 19, IFRIC 20, IFRIC 22, and SIC-32 განახლებული იმ განცხადებების რომლებიც ეხება ჩარჩოს მითითებებს ან მიუთითებს სად შეუძლიათ ნახონ კონცეპტუალური ჩარჩოს განსხვავებული ვერსია.

1 იანვარი, 2019

ცვლილებები ფასს 10 ფინანსური ანგარიშგებები და ბასს 28 ინვესტიციები ასოციაციებსა და ერთობლივ საწარმოებში (2011) დაკავშირებულია აქციების რეალიზაციასთან ან აქტივების შეტანას ინვესტორის მიერ ასოციაციებსა და ერთობლივ საწარმოებში.

ეფექტურობის
თარიღი
გადადებული
განუსაზღვრელი
ვადით, დაწერვა
უკვე დაშვებულია.

მენეჯმენტი ფიქრობს რომ ყველა შესაბამისი გამოცხადებული სტანდარტი იქნება დანერგილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისათვის და მას ემდეგ რაც ძალაში შევა გავლენა გამოცხადებიდან. კომპანიის მენეჯმენტს უკვე აქვს შეფასებული ამ ცვლილებების ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტის შეფასება

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც II-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ევრო 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და 3.1044 ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით). გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობა, გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით, აისახება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად, ადმინისტრაციული ან სხვა მიზნებისთვის, აღირიცხება ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანის და ინსტალირების ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, სესხებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებად ხარჯებს. შენობები რომლებსაც ფლობს იჯარით ასევე შედის ძირითად საშუალებებში თუ მას ფლობს ფინანსური იჯარით. ასეთი აქტივები იცვითება სასარგებლო სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა და აღჭურვილობა	- 30 -წელი
კომპიუტერები	- 5-წელი
ავეჯი და სხვა	- 5-წელი
სხვა გრძელვადიანი აქტივები	- 7-10 ელი

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სარგებლიანობის ვადა, აღიარებულია თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია განსაზღვრული სასიცოცხლო ვადით აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივის სარგებლიანობის ვადის მიხედვით, რომელიც შეფასებულია 5-7 წლით კომპიუტერული პროგრამებისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

არამატერიალურ აქტივებს განუსაზღვრელი სარგებლიანობის ვადით რომლებიც არ განიცდის ამორტიზაციას, ამის მაგივრად ხდება გაუფასურებაზე ტესტირება მისი არდენითი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან წლიურად, როდესაც არსებობს მითითება რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება იყოს გაუფასურებული.

3.4 იჯარით აღიარებული აქტივები

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე, მიუხედავად იმისა ხდება თუ არა გარკვეული საიჯარო ვალდებულების გადახდა იჯარის ვადის დაწყებამდე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირითადი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწევისთანავე.

3.5 მარაგები

მარაგები არის აქტივები განკუთვნილი გასაყიდად ბიზნესის ნორმალური კურსისას ან იმ ფორმით რომ იგი გამოიყენება პროდუქციის წარმოების პროცესში ან მომსახურების გაწევისას. ერთეულები როგორებიც არის სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ემსახურება აღჭურვილობას არის აღიარებული მარაგებად სანამ არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების კრიტერიუმებს.

მარაგები აღირიცხება უმცირესით ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება შეფასებულია გასაყიდ ფასს ბიზნესის ჩეულებრივი კურსისას, დაკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები. მარაგების

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ღირებულება დაფუძნებულია საშუალო მეთოდზე და მოიცავს შესყიდვისას გაწეულ ხარჯებს და მიმდინარე ადგილზე და პირობებამდე მოტანის ხარჯებს.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენისა და რეალიზაციის სტანდარტული ოპერაციები აღირიცხება ანგარიშსწორების თარიღით. ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა, რომელიც სრულდება მომდევნო დღეს და რომლებიც მომავალში სამართლიანი ღირებულებით იქნება აღრიცხული, შეთანხმების თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის, აღირიცხებიან ისევე, როგორც შეძენილი ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აღიარდება. ეს უკანასკნელი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ კატეგორიებად აკლასიფიცირებს: ფინანსური აქტივები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის წარდგენილი მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით; დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; სესხები და დებიტორული მოთხოვნები და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტულ კატეგორიაზე მიკუთვნება ხდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას გამოძინარე ამ ინსტრუმენტის შეძენის მიზნებიდან. შემდგომში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, დადგენილი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდებიან აქტიურ ბაზარზე და ფინანსური აქტივების აღნიშნული კატეგორია მოიცავს კლენტებზე გაცემულ სესხებს, დებიტორულ და სხვა მოთხოვნებს, ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

დაფარვის ფიქსირებული ვადის მქონე სესხების პირველადი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანზაქციის ხარჯები. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცემული სახსრების სამართლიანი ღირებულება განსხვავდება სესხის სამართლიანი ღირებულებისგან, მაგალითად თუ სესხი გაცემულია ბაზარზე არსებულ განაკვეთზე უფრო დაბალ პროცენტში, სხვაობა გაცემული სახსრების სამართლიან ღირებულებასა და სესხის სამართლიან ღირებულებას შორის აისახება მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში როგორც საბაზრო განაკვეთზე დაბალ პროცენტში განთავსებული

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აქტივების ხარჯი. შემდგომში სესხების საბალანსო ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. მომხმარებლებზე გაცემული უვადო სესხები იანგარიშება ეფექტური განაკვეთის მეთოდით დაფარვის სავარაუდო ვადის გათვალისწინებით. მომხმარებლებზე გაცემული სესხები ბალანსში წარედგინება სესხების გაუფასურების რეზერვით შემცირებული თანხით.

3.6.1 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომანია ახდენს ფინანსური აქტივების ან ფინანსური აქტივების ჯგუფების შეფასებას გაუფასურებაზე.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი მიიჩნევა გაუფასურებულად და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, როგორც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე ისეთი მოვლენის შედეგი, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის ღირებულებაზე ან მათგან მისაღები სამომავლო ფულად ნაკადების დროში განაწილებაზე, რომლის (ეფექტის) საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ძირითად ფაქტორებს, რომლებსაც კომანია იყენებს ფინანსური აქტივის გაუფასურების საკითხის განხილვისას, წარმოადგენს: დებიტორების ან დებიტორთა ჯგუფის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები (მაგ: კაპიტალის თანაფარდობა, სუფთა მოგება როგორც გაყიდვების პროცენტი), სესხების ძირი თანხის, პროცენტის ვადაგადაცილება ან გადაუხდელობა, სასესხო ხელშეკრულების პირობების დარღვევა, უზრუნველყოფის ღირებულების არსებითი შემცირება, ასევე თუ დებიტორებს ემუქრებათ გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია, არსებობს ინფორმაცია მომავალი ფულადი ნაკადების ნეგატიური ცვლილების შესახებ, ეკონომიკური პირობების ცვლილება რომელიც გავლენას ახდენს დებიტორებსა და მათ გადახდისუნარიანობაზე.

კომანია თავდაპირველად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის, განსაზღვრავს გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი აქტივებისათვის იყენებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მიდგომას. გაუფასურების ინდივიდუალური მიდგომის ობიექტური ნიშნების განსაზღვრის შემდგომ, ამგვარი ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, აქტივები ჯგუფდება მსგავსი კრედიტული რისკის მახასიათებლების მიხედვით, რათა მოხდეს გაუფასურების გაანგარიშება ჯგუფური მიდგომის საფუძველზე. ჯგუფური მიდგომის საფუძველზე გაუფასურების დასაანგარიშებლად, ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებში არ განიხილება აქტივები რომელთა გაუფასურებაც ხდება ინდივიდუალური მიდგომით და რომლებზეც იქმნება ან იყო შექმნილი გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, ამორტიზირებული ღირებულების გათვალისწინებით ზარალის ზრდა განისაზღვრება როგორც სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა მომავალი არარეალიზებადი დანაკარგისა), გაანგარიშებული მოცემული ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (იგ. აქტივის თავდაპირველი შეფასებისას გაანგარიშებული ეფექტური განაკვეთი). ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, რომელიც აისახება მოგება/ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე დაფარვამდე აქტივებისა და სესხების გაუფასურების გაზომვისათვის გამოიყენება მიმდინარე საკონტრაქტო ეფექტური განაკვეთი. კომანიას

შეუძლია გაუფასურების გაზომვა ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით საბაზრო ფასებზე დაკვირვების გამოყენებით.

უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საგარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების შეფასება ასახავს ფულად ნაკადებს რომელიც შეიძლება წარმოიქმნას უზრუნველყოფის რეალიზებით მის მიღებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, მიუხედავად უზრუნველყოფის კომპანიის საკუთრებაში გადმოსვლის ალბათობისა. ფინანსური აქტივების ჯგუფური მიდგომით გაუფასურების მიზნებისათვის, კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების დაჯგუფებას შიდა შეფასების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს როგორიცაა: აქტივების ტიპები, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, სესხის ვადაგადაცილება და სხვა მაჩვენებლები.

კოლექტიურად გაუფასურებისათვის განხილული ფინანსური აქტივების ჯგუფში არსებული მომავალი ფულადი ნაკადები, განისაზღვრებიან საკონტრაქტო ფულადი ნაკადების სასფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ანალოგიური საკრედიტო მაჩვენებლების მქონე აქტივებთან და ხელმძღვანელობის ხელთ არსებულ სესხების ისტორიული დანაკარგების სტატისტიკასთან. წინა წლების სტატისტიკა კორექტირდება ამჟამინდელი მონაცემებით, მიმდინარე პირობების ასახვისა (რომლებმაც ასახვა ვერ პოვეს წინა პერიოდის დაკვირვებებში) და ასევე წარსული მოვლენების ეფექტის აღმოსაფხვრელად (რომლებიც აღარ არსებობენ მიმდინარე პერიოდში).

მომავალი ფულადი სახსრების შეფასების ცვლილება ფინანსური აქტივების ჯგუფისათვის ასახავს და შეესაბამება პერიოდებს შორის დაკვირვებული ინფორმაციის ცვლილებებს (მაგ.: ცვლილება უმუშევრობის მონაცემებში, ქონების ფასებში, გადახდების სტატუსში, ან სხვა ფაქტორებში რომლებიც მიუთითებენ ჯგუფის შესაძლო დანაკარგების სიდიდეზე). კომპანია პერიოდულად ახდენს, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისათვის გამოყენებული, მეთოდებისა და დაშვებების გადახედვას, რათა შეამციროს სხვაობა შეფასებულ შესაძლო დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის.

სესხები გაუფასურების რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს მომავალში იმის მოლოდინი, რომ ეს სესხი დაიფარება და შესაბამისად ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულ ან გადაცემულ იქნა კომპანიის საკუთრებაში. თუ გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარი რაიმე მოვლენის შედეგად გაუფასურების ზარალი გაიზარდა ან შემცირდა, მაშინ მანამდე აღიარებული გაუფასურება დაკორექტირდება გაუფასურების რეზერვის ჩასწორებით. ჩამოწერილი სესხის მომავალში აღდგენის შემთხვევაში, მისი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის დაკრედიტებით.

3.6.2 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსურ აქტივების (ან ფინანსური აქტივების ნაწილის, ფინანსური აქტივების ჯგუფის, მსგავსი აქტივების) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა;
- კომპანიამ სხვას გადასცა უფლება მიიღოს ფულადი სახსრების ნაკადები ან დაიტოვა ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო უფლება თუმცა ამასთანავე აიღო დაუყოვნებლივ გადახდის ვალდებულება მესამე მხარესათვის გადაცემის პირობების შესაბამისად.
- კომპანიამ ან ა) სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები, ან ბ) გადასცა

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსურ აქტივზე კონტროლის უფლება, თუმცა არ გადასცა და არც დაიტოვა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები.

თუ კომპანიამ გაასწავლა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადასცა, ასევე არ შეინარჩუნა მნიშვნელოვანი ნაწილი ყველა შესაძლო რისკისა და სარგებლისა, ასევე არ გადასცა აქტივის კონტროლის უფლება, აქტივი აღიარდება მასში კომპანიის მომავალი მონაწილეობის პროპორციულად. როდესაც გაგრძელებადი მონაწილეობა იღებს გადაცემული აქტივის საგარანტიო უზრუნველყოფის ფორმას, ორგანიზაციის ამგვარი მონაწილეობის ხარისხი განისაზღვრება შემდეგი ორი სიდიდიდან უმცირესით: აქტივის ღირებულება და ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა რომელიც შეიძლება გამოთხოვილ იქნას კომპანიისგან.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ვალდებულება ჩამოწერილია, გაუქმებულია ან მოქმედების ვადა ამოწურულია.

როცა არსებული ფინანსური ვალდებულება იცვლება სხვა ფინანსური ვალდებულებით, იგივე კრედიტორისადმი, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ვალდებულების მნიშვნელოვნად მოდიფიცირება, ასეთი გაცვლა ან პირობების შეცვლა აღირიცხება როგორც პირველადი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახლის აღიარება. სხვაობა დაფარული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ახალი ვალდებულების ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშებაში.

3.7 გაუფასურება

გაუფასურების მიზნებსათვის, აქტივები არის დაჯგუფებული ყველაზე დაბალ დონეზე რომლებიც დიდწილად დამოკიდებულია დამოუკიდებელ ფულად ნაკადზე (ფულიდი სახსრების წარმომქმნელი ერთეული). შედეგად, ზოგიერთი აქტივი არის დატესტილი ინდივიდუალურად გაუფასურებაზე და ზოგიერთი არის დატესტილი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეტი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადახდილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც II-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუკი ეს აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

3.8 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. ყველა ტრანზაქცია რომელიც განცხადებულია მესაკუთრებთან კაპიტალში ჩაწერილია ცალკე. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.9 ანარიცხი

ანარიცხი აღიარებულია ბალანსში როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება ძველი მივლენის შედეგად, და მოსალოდნელია რომ მოჰყვება ეკონომიკური სარგებლის გასვლა ვალდებულების მოსაგვარებლად. თუ ეფექტი არის მატერიალური, ანარიცხი არის განსაზღვრული სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებით წინასწარ განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით რომელიც მოქმედებს მიმდინარე ბაზრის შეფასებაზე ფულის ღირებულებაზე, როდესაც შესაბამისია, ვალდებულების სპეციალურ რისკის.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წლიურ მოგებაზე შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან, მოგების გადასახადინ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაკავშირებულია ისეთ ერ ეულებთან რომლებიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი რომელიც გადაიხდება დასაბეგრ შემოსავალზე წელიწადში, გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთებით რომელიც გამოიყენებოდა ბალანსის თარიღისათვის ან ამოქმედდა, და რაიმე შესწორება დაკავშირებულია გადასახდელ გადასახადთან წინა წლებთან დაკავშირებით. სათანადო საგადასახადო დელკარაციის წარდგენის შემთხვევაში, დაგადასახადო მოგება ან ზარალი დაფუძნებულია შეფასებაზე. საგადასახადო ორგანოებს შეიძლება ქონდეთ უფრო მკაცრი პოზიცია, გადასახადების ინტერპრეტირების და საგადასახადო გამოთვლების განხილვაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი გადასახადები ამ გარიგებებისთვის, რისთვისაც არ მოითხოვდნენ ადრე. შედეგად მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადებიდა ჯარიმები შეიძლება წარმოიშვას. საგადასახადო განცილვა შეიძლება მოიცავდეს 3 კალენდარულ წელს დაუყოვნებლივ გადახედვას წლისას. მიმდინარე გარემოებაში საგადასახადო განხილვამ შეიძლება მოიცვას მეტი პერიოდი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოითვლება დროებითი განსხვავების ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. დროებითი მოგების გადასახადი უზრუნველყოფილია დროებითი განსხვავებებით, რომლებიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და მათი საბალანსო ღირებულებებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის სხვაობით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მოგების გადასახადი წარმოიქმნება გუდვილის პირველადი აღიარებისთვის ან აქტივის და ვალდებულების გარიგებისთვის როდესაც არ არის საქმიანი კომბინაცია, ტრანზაქციის დროისთვის, გავლენას არ ახდებს ბუღალტრულ მოგებაზე და ასევე საგადასახადო მოგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც II-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხება მხოლოდ იმდენად რამდენადაც სავარაუდოა რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება რომლის დროსაც გამოიყენება დროებითი განსხვავებები. ადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები იზომება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ ვრცელდება იმ პერიოდისთვის, როდესაც აქტივები რეალიზებულია ან ვალდებულებათა გასტუმრებული, საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ბალანსის თარიღისთვის.

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება დროებითი სხვაობებით რომლებიც გამოწვეულია ინვესტიციებით შვიობილ კომპანიებში, ასოციაციებში და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დროებითი სხვაობა კონტროლდება და სავარაუდოა რომ დროებითი სხვაობა არ შეტრიალდება უახლოეს მომავალში.

ცვლილებები კორპორატიულ მოგების გადასახადში ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება კორპორატიული მოგების გადასახადის ახალი მოდელებით.

ახალი მოდელი (“კორპორატიული გადასახადების ესტონური მოდელი”) გულისხმობს ნულოვანი კორპორატიული საგადასახადო განაკეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15% განაკეთს განაწილებულ მოგებაზე, წინა საგადასახადო განაკეთთან შედარებით 15%-ით იბეგრებოდა მოგება გადასახადის გადახდამდე, მიუხედავად მოგების განაწილებისა და შენარჩუნებისა. ცვლილებების შედეგად, 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიები გადაიხდიან კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება განაწილებული აქციონერებზე როგორც დივიდენდები) და ინდივიდუალურ გადარიცხვებზე რონლებიც შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურ შენადანად გაუნაწილებელ მოგებაში (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია დივიდენდების პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, ფაქტობრივი საგადასახადო თარიღის ან დივიდენდების გადანაწილების პერიოდის მიუხედავად. საგადასახადო განაკეთი წმინდა განაწილების მოცულობის 15/85.

2023 წელს და შემდგომ გამოცხადებული და გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადიდან, 2022 წლამდე დაგროვილი შემოსავლიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის რომელიც გადახდილია წომა წლების განმავლობაში გაუნაწილებელი მოგებით.

კორპორატიული მოგების გადასახადის შეცვლილი კონცეფციის თანახმად, არ იქნება დროებითი განსხვავებები აქტივების და ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის. ამიტომაც, გადავადებული აქტივები და ვალდებულებები, განსაზღვრული ბასს 12 მოგების გადასახადში, არ არის ჩამოყალიბებული შემდგომში 2023 წლის 1 იანვარს.

3.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც ამ სარგებლის თანხის საკმარისად საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია. ხარჯები აღიარდება როდესაც მოსალოდნელია, რომ გარიგების შედეგად კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გადინება და როდესაც ამ სარგებლის თანხის საკმარისად საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია. შემოსავლის აღიარებისთვის ასევე უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმებიც:

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 11-37-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა ფინანსური აქტივით, გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული ფინანსური აქტივი ან როგორც ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალზე, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც “საპროცენტო შემოსავლები” და “საპროცენტო ხარჯები”, რომლებიც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

როდესაც ფინანსური აქტივის, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის, საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, მაშინ საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიყენებით ახალ (შემცირებულ) საბალანსო ღირებულებაზე.

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

სესხის გაცემის საკომისიო, რომელიც წარმოიშობა სესხის გაცემის მომენტში გადავადებულია (ყველა პირდაპირ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც ამ სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესწორება. სხვა შემოსავლები და ხარჯები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით როცა მომსახურება იქნა გაწეული. პორტფელის მართვის და სხვა საკომისიოები აღრიცხულია მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით.

ფასს 15-ის მიღების ზეგავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა თვლის რომ ამ ცვლილებას არ აქვს მატერიალური ზეგავლენა აკუმულირებული მოგების საწყის ნაშთზე კომპანიის საქმიანობის ბუნებისგან გამომდინარე. ხელმძღვანელობას არ აქვს გაკეთებული არანაირი შესწორება წინა რეპორტში ნაჩვენებ ციფრებში ფასს-15 მიღებასთან დაკავშირებით ბინაიდან თვლის რომ ზეგავლენა არი არამატერიალური.

3.12 ფული და ფულადი ეკვივალენტი

